ხელშეკრულება N55
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ხაშური **24 მარტი 2016 წელი**

ერთის მხრივ ხაშურის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი გამგებლის გიორგი გურასპაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ნიკე 2009“ (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ღონღაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹“ ქვეპუნქტის* და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით სოფელ წრომში წყლის მილების და სანიაღვრე არხისათვის გოფრირებული მილების შესყიდვა დანართი N1-ის მიხედვით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით და სახარჯთარიცხვო გაანგარიშებების შესაბამისად (CPV კოდი: 44100000).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება: **471.45 (ოთხას სამოცდათერთმეტი ლარი და ორმოცდაექვსი თეთრი) ლარით, დღგ-ს გათვალისწინებით.**
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახდელს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3.2. წუნდების აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის შეტყობინების მიღებიდან (როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით) 3 დღის განმავლობაში წუნდებული საქონლის შეცვლა.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: **ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 11 აპრილის ჩათვლით.**
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: **ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, სოფელი წრომი.**

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს **2016 წლის 13 მაისის ჩათვლით.**

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველის მხრიდან 6.2. პუნქტით განსაზღვრული პირის/ების და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლ/ებ/ის ხელმოწერით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ პირებს წარმოადგენენ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებლის **წარმომადგენელი** შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში; ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ალექსანდრე ახმეტელი;** ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი **გიორგი ულუმბელაშვილი;**
6.3. საქონლის მიწოდების პარალელურად მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის საგადასახადო ანგარიშფაქტურა/სასაქონლო ზედნადები;
6.4. შემსყიდველს მიღება-ჩაბარების აქტი - წარედგინება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის **ან** ხაშურის მუნიციპალიტეტის **გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ;**

6.5. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2016 წლის 24 მარტის N54** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

7. ანგარიშსწორების ფორმა

7.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორება განხორციელდება, მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის/სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
7.3. ანგარიშსწორების ადგილია: ქ. ხაშური.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და უზრუნველყოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელსეკრულების მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრულ ადგილზე.
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
გ) მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი, ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში აღმოფხვრას არსებული დეფექტები საკუთარი ხარჯით და აანაზღაუროს შემსყიდველისა და მესამე პირისათვის მიყენებული ზიანი.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
9.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
9.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
9.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულელობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.7. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
10.5. ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ შეფერხების ფაქტის წარმოშობისას დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში წინადადება არ განიხილება. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
14.2. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის **განყოფილების უფროსი,** ან ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
14.3. თუ შესყიდვის ობიექტი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლზე პასუხისმგებელი პირის ან/და პირების დასკვნის საფუძველზე მოითხოვოს არსებული ხარვეზების გამოსწორება. ხარვეზების გამოსწორებამდე,

შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე, რის შესახებაც მიმწოდებელს ეცნობება წერილობით.
14.4. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.5. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების, ასევე მესამე პირის დაზიანებული ქონების ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
15.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ორი „შემსყიდველს“, ერთი „მიმწოდებელს“). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
15.5.ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი
ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. N2,
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022; საიდენტიფიკაციო კოდი: N243908848.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი _____ გიორგი გურასპაშვილი

ბ.ა.

მიმწოდებელი:

შპს „ნიკე 2009“
ქ. ხაშური, იმერეთის ქ. N173;
სს „საქართველოს ბანკი“ კოდი: BAGEGE22;
ა/ა GE22BG0000000262651000; საიდენტიფიკაციო კოდი: N243916615.

შპს „ნიკე 2009“-ის დირექტორი _____ გიორგი ღონღაძე

ბ.ა.

ხელშეკრულების N55-ის დანართი N1

ცხრილი N1

სოფელ წრომში წყლის მილების შესყიდვა

N	საქონლის დასახელება	განზ.	რაოდენობა	მასალა	
				ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	წყლის მილი პლასტმასის დ=63მმ	გრძ/მ	100	2.60	260.00
2	გადამბის ქურო დ=63მმ	ც	2	9.00	18.00
	ჯამი:	ლარი			278.00
	ტრანსპორტის ხარჯი არაუმეტეს მასალების 5%	%	5		13.90
	სულ ჯამი:	ლარი			291.90

ცხრილი N2

სოფელ წრომში სანიაღვრე არხისათვის გოფრირებული მილების შესყიდვა

N	საქონლის დასახელება	განზ.	რაოდენობა	მასალა	
				ერთ. ფასი	ჯამი
1	2	3	4	5	6
1	გოფრირებული მილი გადამბის ქუროებით დ=150მმ	გრძ/მ	18	9.50	171.00
	ჯამი:	ლარი			171.00
	ტრანსპორტის ხარჯი არაუმეტეს მასალების 5%	%	5		8.55
	სულ ჯამი:	ლარი			179.55

შემსყიდველი:

ხაშურის მუნიციპალიტეტის
გამგეგელი

გიორგი გურასპაშვილი

_____

ბ. ა.

მიმწოდებელი:

შპს „ნიკე-2009“-ის
დირექტორი

გიორგი ფონღაძე

_____

ბ. ა.

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ხაშური 24 მარტი 2016 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში შემსყიდველი მხარის წარმომადგენლები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ მონაწილეობა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ **2016 წლის 24 მარტის N55** ხელშეკრულებაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გიორგი გურასპაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელი
სერგო ლალიაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
ალექსანდრე ახმეტელი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების მთავარი სპეციალისტი
გიორგი ულუმბელაშვილი	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კეთილმოწყობის განყოფილების სპეციალისტი
დავით გოგალაძე	გამგებლის წარმომადგენელი წრომის ადმინისტრაციულ ერთეულში